

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების  
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30.12.2004, №41, მუხლი 200) შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 87-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა და იმ ქონებისა, რომელიც სხვა პირის საკუთრებაა) ნებისმიერ ქონებას, მათ შორის, მოძრავ, უძრავ, არამატერიალურ ქონებას.“;

ბ) მე-8 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

გ) მე-12 ნაწილი ამოღებულ იქნას;

დ) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. ქონებაზე ყადაღის დადების და ყადაღადადებული ქონების ამოღებისა და შენახვის წესებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

2. 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 88. ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია

1. საგადასახადო ორგანოს მიერ ამ კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილება და ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტი ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რომელიც ახორციელებს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციას მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

2. ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია ხორციელდება „საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფად

ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

2. 122-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს – „საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

